



სოფლის მეურნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს VI სხდომა

სხდომის ოქმი N6

თბილისი, 19 ნოემბერი, 2024 წელი

სოფლის მეურნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. **თეო ურუშაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი, პროფესორი, ჰ.ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორიის გამგე, **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **თინათინ დარსაველიძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, **საბჭოს მდივანი;**
3. **რეზო ვასაძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორების ჯგუფის წევრი და აჭარის სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი, **საბჭოს წევრი;**
4. **რუსლან დავითაძე** - აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს დირექტორის მოადგილე, **საბჭოს წევრი;**
5. **მანანა კველიშვილი** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
6. **ზოია სიხარულიძე** - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების



- ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, **საბჭოს წევრი;**
7. **დარეჯან ჯაში** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
 8. **რუსუდან კვარაცხელია** - ეკონომიკის დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
 9. **ქეთევან კინწურაშვილი** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
 10. **როზა ლორთქიფანიძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
 11. **ზაირა ტყეზურავა** - აგრონომის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აგრონომიის მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
 12. **ანა ბოკუჩავა** - ვეტერინარიის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, **საბჭოს წევრი;**
 13. **გიორგი ბადრიშვილი** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
 14. **ზვიად ბობოქაშვილი** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახურის უფროსი, ა(ა)იპ - აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მეხილეობის მიმართულებით, **საბჭოს წევრი;**
 15. **მარინე მოსულიშვილი** - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უმაღლეს მცენარეთა სისტემატიკის მიმართულებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი, **საბჭოს წევრი;**
 16. **ამროსი ჭკუასელი** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, მეცხოველეობის



ინსტიტუტის დირექტორი, მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**

17. დიანა ხომასურიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰაინც ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომელი აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი, **საბჭოს წევრი.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

1. სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 28 წევრიდან ესწრებოდა 17 წევრი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო დაეწყო შეხვედრა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის (შემდგომში 476/ი ბრძანება) მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ამავე წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭოს მდივანი ადგენს:

ა) საბჭოს ოქმს, რომელშიც აისახება გადაწყვეტილება პროექტის საჯარო განხილვაზე გატანის შესახებ;



ბ) საბჭოს (საჯარო განხილვის) ოქმს, რომელშიც აისახება საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები;

გ) საბჭოს შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აისახება დარგობრივი მახასიათებელზე მუშაობის პროცესი და ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

სოფიკო გაფრინდაშვილმა საბჭოს წევრები გააფრთხილა, რომ მიმდინარეობდა სხდომის აუდიო-ვიდეო ჩაწერა, ოქმის შედგენის მიზნით და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს თანხმობა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, თეო ურუშაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

- 1) საბჭოს წევრების კომენტარების მოსმენა (არსებობის შემთხვევაში) აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (შემდგომში - დარგობრივი მახასიათებელი) დოკუმენტის შესახებ;
- 2) კენჭისყრა დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტის ცენტრის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენის შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილებით დოკუმენტში ასახა შემდეგი ინფორმაცია:

- 1) მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელება ჩამოყალიბდა როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე შემდეგი სახით:

აგრონომიის ბაკალავრი Bachelor in Agronomy

აგრონომიის მაგისტრი Master in Agronomy

მეცნიერების ბაკალავრი აგრონომიაში Bachelor of Science (BSc) in Agronomy

მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში Master of Science MSc in Agronomy



2) VI. დამატებითი ინფორმაციის თავს დაამატა შემდეგი ქვეთავი:

„6.4 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე“ –

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული სწავლის სფეროს „აგრონომია“ შესაბამისი პროგრამა/პროგრამები მოცემულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამას/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამას/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. დაწესებულება ვალდებულია, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, ახალი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მხარი დაუჭირა აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (დანართი N1) ცენტრის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას.

სხდომა დასრულდა 11:30 საათზე.



საბჭოს თავმჯდომარე:

თეო ურუშაძე

საბჭოს მდივანი:

თინათინ დარსაველიძე



აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები



I. შესავალი

აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც აგრონომიის უმაღლესი განათლების I (ბაკალავრიატი) და II (მაგისტრატურა) საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს;

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა აგრონომიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა დაწესებულებისთვის. თუმცა, ინოვაციების, მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრვენ საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურ შინაარსსა და მათი განხორციელების კონკრეტულ გზებს, მათ შორის - დამატებით სწავლის შედეგებს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შედგება მინიმალური მოთხოვნებისა და დებულებებისგან, რომელთა დაცვისა და შესრულების ვალდებულება აქვს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ხორციელდება ან დაგეგმილია განხორციელდეს აგრონომიის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების შინაარსსა და ფორმას, ასევე სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული რეგულაციების შესაბამისად.

დარგობრივი მახასიათებელი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე თავსებად აგრონომიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, რაც წახალისებს სტუდენტთა მობილობას, ხელს შეუწყობს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, პროფესიულ განვითარებას, მიღებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, კვალიფიკაციის მფლობელთა



დასაქმებასა და კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აგრონომიის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- პირთათვის, რომელთაც სურთ აგრონომიის სწავლის სფეროს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა;
- სტუდენტებისთვის, რომელთაც აინტერესებთ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენენ აგრონომიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლებისათვის, რომლებთაც სურთ ჰქონდეთ ინფორმაცია აგრონომიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესახებ.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Agronomy.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 7 წელი.

II. სწავლის სფეროს აღწერა

აგრონომიის სფერო წარმოადგენს სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის საფუძვლებზე დაფუძნებულ აკადემიურ დისციპლინას, რომელიც გამიზნულია მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის. აგრონომია მოიცავს ცოდნას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის,



ნიადაგის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის მართვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ასევე მიწათმოქმედების თანამედროვე სისტემების შესახებ.

აგრონომია, აგრეთვე ითვალისწინებს მაღალხარისხიანი და რესურსდამზოგავი ახალი ჯიშების დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ოპტიმალურ გამოყენებას, მცენარეთა კვების თანამედროვე სისტემების, მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდების დანერგვას და წარმოების ბიო (ორგანული) მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად აგრონომია იყენებს სამეცნიერო, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მეთოდებსა და საველე ცდებს.

აგრარულ სფეროში უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგიონებისათვის დამახასიათებელი პროირიტეტის გათვალისწინებით მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, წარმატებით დასაქმებადი და კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება აგრონომიის სფეროში, რომელსაც ექნება დარგის შესახებ თეორიული ცოდნა, კვლევის უნარი და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრონომიის მიმართულებით უზრუნველყოფს აგრონომიული პროცესების განხორციელებასთან დაკავშირებულ საბაზო საკითხებისა და პრინციპების, ასევე მეთოდების ცოდნის ფლობასა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს. მოცემული გულისხმობს აგროტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვა-წარმოების ასპექტების შესაბამის ჭრილში გაცნობიერებას, თუ რა ძირითადი კონკრეტული თავისებურებებით ხასიათდება სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრონომიული მიმართულებით, უზრუნველყოფს აგრონომიული პროცესების დაგეგმვა-წარმოების საფუძვლიანი და სისტემური უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვლევითი კომპეტენციების გაღრმავებას.

აგრონომიის მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს, სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში/დოქტორანტურაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭება:

- 1) აგრონომიის ბაკალავრი/მაგისტრი
Bachelor/Master in Agronomy



2) მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი აგრონომიაში
Bachelor/Master of Science (BSc/MSc) in Agronomy

III. სწავლის შედეგები

აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას მოეთხოვება. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს, რომლის დაკმაყოფილება ევალება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილებების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით დამატებით, სხვა შედეგებიც განსაზღვროს. ასევე, უფლებამოსილია, სწავლის შედეგები სამივე კომპონენტის (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, სამ კატეგორიად ჩაშლით ან ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბოს.

3.1. აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- ახასიათებს მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებებს, მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებს, ეკოლოგიურ ფაქტორებს და მათ გავლენას ეკოსისტემაზე;
- განიხილავს მცენარეთა დაცვის ზოგად პრინციპებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითად მავნებელ-დაავადებებს და მათი მოქმედების წინააღმდეგ ინტეგრირებულ ბრძოლის ღონისძიებებს;
- ნიადაგების გენეზისის საფუძველზე აფასებს ნიადაგებს; აკავშირებს კლიმატურ პირობებს კონკრეტული მცენარეების ზრდა-განვითარებასთან, ადგენს შესაბამისი კულტურის ნიადაგის ნაყოფიერების მართვის გეგმას;



- მიმოიხილავს მცენარეთა ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის და შეფასების ძირითად მეთოდებს;
- აგრონომიული პროცესების განხორციელების დროს ითვალისწინებს სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების საკვანძო მოთხოვნების საფუძვლებს;
- აღწერს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოეკოლოგიურ და სამეურნეო თავისებურებებს, შეარჩევს მოვლა-მოყვანის აგროწესებს;
- შეარჩევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის სამანქანო ტექნოლოგიებს;
- აღწერს ორგანული სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო დარგების ზოგად პრინციპებს;
- მოიძიებს და ანალიზებს აგრონომიის საკითხებზე ინფორმაციულ მასალას და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
- შეიმუშავებს და განახორციელებს აგრონომიის სფეროსათვის დამახასიათებელი კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და წარადგენს კონტექსტისთვის შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით;
- საფუძვლიანად ფლობს სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას და აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას;
- ამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან ქართულ და უცხო ენაზე და იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

3.2. აგრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

აგრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

- სიღრმისეულად აღწერს ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების თავისებურებებს, მცენარეთა სელექციისა და ადაპტაციის პრინციპებს, ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის თანამედროვე, აგრო და ბიოტექნოლოგიური კვლევის მეთოდებს;



- განსაზღვრავს ნიადაგის ნაყოფიერების პოტენციალს, ნიადაგის მორფოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით;
- აფასებს მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეულ დაზიანებებს, გეგმავს და აორგანიზებს მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს;
- შესაბამისი მეთოდოლოგიების საფუძველზე, აყალიბებს აგრონომიული საქმიანობის სამეცნიერო/პრაქტიკულად აპრობირებულ სქემებს;
- იღებს დასაბუთებულ აგროტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს სამეცნიერო-პრაქტიკული შედეგების მიღწევის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საფუძვლიანად წარმართავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიან და ოპტიმალურ ფუნქციონირებას;
- საფუძვლიანად ფლობს სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას და აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით ქმნის კვლევითი ხასიათის ნაშრომს და წარადგენს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე;
- ავლენს კოლეგებთან და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მმართველებთან თანამშრომლობის კომუნიკაციისა და კოორდინაციის პროფესიულ უნარებს;

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად, აგრონომიის სწავლის სფეროში შესაძლებელია მოცემულ თავში აღნიშნული კვალიფიკაციების მინიჭება.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე.



თუ აგრონომიის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია აგრონომიის სფეროს თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს შემდეგნაირი:

აგრონომიის ბაკალავრი Bachelor in Agronomy
აგრონომიის მაგისტრი Master in Agronomy

თუ აგრონომიის სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი უნარები, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

მეცნიერების ბაკალავრი აგრონომიაში Bachelor of Science (BSc) in Agronomy
მეცნიერების მაგისტრი აგრონომიაში Master of Science (MSc) in Agronomy

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

აგრონომიული მიმართულებით სწავლების მთავარი მიზანია თანამედროვე ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტის ჩამოყალიბება. აგრონომიული სფეროს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლების და სწავლის შეფასების



მეთოდები. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. საბაკალავრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე გადასვლის დროს გამოყენებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშავოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

5.1. სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებს და პასუხობდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ასევე, გარდა დარგის შესაბამისი სპეციფიკური უნარებისა, ხელს უნდა უწყობდეს ტრანსფერული უნარების განვითარებას. შეფასების მეთოდები უნდა მოიცავდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უკუკავშირს სტუდენტებთან მათი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სრულყოფის მიზნით.

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები გამოიყენოს. ასევე, დასაშვებია გამოყენებული იყოს მეთოდები, რომელიც არ არის მითითებული “სწავლების-სწავლის მეთოდების” პუნქტში, მაგრამ, აღნიშნული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა სასწავლო პროცესი წარიმართოს როგორც სააუდიტორიო სივრცეში, ასევე პრაქტიკულ ობიექტებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა შესაძლებელია სწავლების პროცესში გამოიყენონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული და/ან სხვა მეთოდები:

- ლექცია;
- სემინარი;
- ლაბორატორიული სამუშაოები;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- დამოუკიდებელი მეცადინეობა;
- სასწავლო პრაქტიკა;
- ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტი.



სამაგისტრო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული უნდა იქნეს სამაგისტრო სამეცნიერო კვლევის ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაწერილი იქნება ყველა საჭირო პროცედურა.

5.2. შეფასების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს, ნათლად და მკაფიოდ აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს და მათ შესაბამის ქულებს, რაც გაწერილი უნდა იყოს შესაბამისი კურსის სილაბუსში. ამავე დროს, ლექტორს უნდა გააჩნდეს მყარი არგუმენტები შერჩეული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ. შეფასება ხელს უწყობს სტუდენტის მოტივაციის ზრდას და უვითარებს სწავლის უნარს.

5.3 სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული განათლება მოცემული პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი. სასწავლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები.



VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. აკადემიური პერსონალი

აგრონომიული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაძლებელია შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

6.2. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აგრონომიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა ფლობდეს აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ სასწავლო ფართს, რაც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებს შეუქმნის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს. პრაქტიკული მეცადინეობა უნდა წარიმართოს შესაბამისი სტანდარტების მქონე ლაბორატორიულ და საველე პირობებში.

6.3. დასაქმება

აგრონომიის მიმართულებით ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შემდეგი მიმართულებით:

- მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობები;
- სასათბურე ფერმერული მეურნეობები;
- აგროსაკონსულტაციო ცენტრები/კომპანიები;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული ყველა რეგიონალური სამმართველო;



- სავაჭრო ქსელის შესაბამისი მომსახურების სფერო;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი საწარმოები და კომპანიები;
- აგრარული პროფილის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები; სახელმწიფო/კერძო კვლევითი და საკონსულტაციო და მომსახურების (სერვის) სამსახურები;
- დონორების მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- შეუძლია გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას ფერმერული მეურნეობა;
- და სხვა.

6.4 უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული სწავლის სფეროს „აგრონომია“ შესაბამისი პროგრამა/პროგრამები მოცემულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ დოკუმენტის დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი, პროგრამას/პროგრამებს 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. თუკი, პროგრამას/პროგრამებს აღნიშნული ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უწევს ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა, სააკრედიტაციო განაცხადში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს დამტკიცებულ აგრონომიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. დაწესებულება ვალდებულია, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, ახალი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.



VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

სოფლის მეურნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
---	---------------	--------------------------	-------------



1	თეო ურუშაძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი, პროფესორი, ჰანც ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორიის გამგე - საბჭოს თავმჯდომარე
2	თინათინ დარსაველიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი
3	დიანა ხომასურიძე	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰანც ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორია	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰანც ფერის სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი



4	ამროსი ჭკუასელი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, მეცხოველეობის ინსტიტუტის დირექტორი, მეცხოველეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
5	ლაშა ავალიანი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის ინსტიტუტი	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, ვეტერინარიის სკოლის მოწვეული ლექტორი
6	ანა ზოკუჩავა	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ვეტერინარიის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი
7	რეზო ვასაძე	ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ - სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი; საქართველოს სოფლის



			მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილების ეროვნული კოორდინატორების ჯგუფის წევრი და აჭარის სამეცნიერო განყოფილების კოორდინატორი.
8	რუსლან დავითაძე	ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი, ა(ა)იპ - ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს დირექტორის მოადგილე
9	ლევან შავაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრონომიის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
10	მანანა კველიშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრონომიის საბაკალავრო



			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
11	ზოია სიხარულიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
12	დარეჯან ჯაში	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
13	მარინე მოსულიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ს ასოცირებული პროფესორი, უმაღლეს მცენარეთა სისტემატიკის მიმართულებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კურატორი
14	რუსუდან კვარაცხელია	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ეკონომიკის დოქტორი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



15	ვასილ ღლიღვაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
16	ქეთევან კინწურაშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
17	როზა ლორთქიფანიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარული ფაკულტეტის აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი
18	ზაირა ტყეშუჩავა	სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აგრონომის დოქტორი, სსიპ- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აგრონომიის მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ხელმძღვანელი
19	ნონა მიქაია	სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი



			აგრონომია-ეკოლოგიის მიმართულებით
20	ქეთევან ლაფერაშვილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
21	გიორგი ბადრიშვილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი
22	გვანცა ბეჟანიშვილი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის მეცხოველეობის განვითარების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
23	ზვიად ბობოქაშვილი	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი



			ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახურის უფროსი, ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მეხილეობის მიმართულებით
24	ანა გემაზაშვილი	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარის დოქტორი, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
25	ვალერიან ამირანაშვილი	შპს - აგრონექტი	შპს - აგრონექტის დამფუძნებელი, საოპერაციო მიმართულების ხელმძღვანელი
26	რუსუდან გიგაშვილი	ა(ა)იპ - სექტორული პლატფორმა „მომავლის ფერმერი	ა(ა)იპ - სექტორული პლატფორმის „მომავლის ფერმერი" თავმჯდომარე
27	გიული გოგოლი	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის და საკვებწარმოების დეპარტამენტის მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის ჯგუფის ხელმძღვანელი, მეცხოველე მკვლევართა და ფერმერთა კავშირის გამგეობის წევრი, პროფესორი
28	კობა ნაცვლაძე	სსიპ - სოფლის მეურნეობის	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,



		სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი
--	--	-------------------------------	--



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი